ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის რეკომენდაციები
საქართველოს ღია პარლამენტის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

1. **კანონპროექტების კომენტარებზე უკუკავშირის მექანიზმის შემუშავება**

არსებული მდგომარეობა: პარლამენტის ვებგვერდზე ნებისმიერ პირს შეუძლია, დატოვოს კომენტარი ნებისმიერ კანონპროექტთან დაკავშირებით. ვალდებულება წამოაყენა IDFI-მ და იგი შევიდა საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში.

თუმცა, კომენტარების ცალმხრივად წარდგენის არსებული მექანიზმი ვერ იქნება საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა სრულყოფილი ჩართულობის გარანტია, რადგან არ არსებობს მოქალაქეთა მიერ კანონპროექტებზე გაკეთებულ კომენტარებზე უკუკავშირის მექანიზმი; ამ ეტაპზე, კომენტარების გათვალისწინება ან მათზე უკუკავშირი მხოლოდ პარლამენტის წევრთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

საუკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მოქალაქეთა თუ დაინტერესებულ პირთა კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, როგორც კომენტარების / წინადადებების / შენიშვნების მიღება, ისე შესაბამისი უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა.

IDFI-ის რეკომენდაცია: 2016 წელს IDFI-მ წარადგინა კანონპროეტებზე საჯარო კონსულტაციების ელექტრონული სისტემის კონცეფცია, რომელიც მოიცავდა უკუკავშირის მექანიზმის არსებობას და სამართლებრივ რეგულირებას. კონცეფცია მოიწონა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ. შესაბამისად, ვთვლით, რომ ახალ სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს კანონპროექტებზე გაკეთებულ კომენტარებზე უკუკავშირის მექანიზმის დანერგვის ვალდებულებაც.

2. **საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება**

არსებული მდგომარეობა: „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის N132/3 ბრძანებით დამტკიცებულია იმ ინფორმაციის ნუსხა, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის ვებგვერდზე.

ბრძანება არ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებას, ხოლო გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის სტრუქტურირებული, რაც ართულებს მის მოძიებას და შემდგომ გამოყენებას. ბრძანებით ასევე არ არის დადგენილი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის თანამედროვე სტანდარტები.

საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის 3.1 ვალდებულების (პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება) თანახმად, აუცილებელია პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტაციის, როგორც ღია, ისე ადვილად დასამუშავებელ ფორმატში (მაგალითად, HTML / MS Word) განთავსება და პარლამენტის ვებგვერდზე PDF ფორმატში გამოქვეყნებული დოკუმენტაციის მინიმუმამდე დაყვანა.

IDFI-ის რეკომენდაცია: IDFI-ის რეკომენდაცია გულისხმობს პარლამენტის ვებგვერდზე ინტეგრირებული მოდულის შექმნას, სადაც მოხდება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომ ფორმატში (მათ შორის ღია მონაცემთა ფორმატში) განთავსება და ასევე საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის მოდულის დანერგვა.

ამავე დროს, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს უნდა მიეცეს უფლებამოსილება, ყოველწლიურად განსაზღვროს იმ ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზების დამატებითი ჩამონათვალი, რომელიც შესაძლებელია ხელმისაწვდომი გახდეს ამ მოდულის მეშვეობით და რომელიც მაღალი საჯარო ინტერესის მატარებელია (მაგ. ეს შეიძლება იყოს წლის განმავლობაში შემოსული პეტიციების რეესტრი, კანონპროექტების რეესტრი, დეპუტატების მიერ სხდომების გაცდენის რეესტრი, პარლამენტის ვიზიტორთა მონაცემთა ბაზა, საერთაშორისო ვიზიტებში პარლამენტის წევრთა მონაწილეობის დეტალური ხარჯთაღრიცხვის რეესტრი და სხვა).

საზოგადოებასთან უკუკავშირის დანერგვის მიზნით, ამ განყოფილებაში უნდა იყოს ინტეგრირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მექანიზმიც. მექანიზმი დაეხმარება საბჭოს იმ პრიორიტეტული ინფორმაციის განსაზღვრაში, რის ხელმისაწვდომობაც მნიშვნელოვანია მოქალაქეებისთვის.

3. **საჯარო ინფორმაციის ანგარიშების მონიტორინგის სისტემის შემუშავება**

არსებული მდგომარეობა: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) მე-3 თავის თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პრემიერმინისტრს წარუდგინოს და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნოს ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიში“ - ინფორმაციის თავისუფლების ანგარიში.

საჯარო ინფორმაციის ანგარიშის წარდგენა შესაძლებელს ხდის და აადვილებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, შესაბამისად, საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხის კონტროლს არა მხოლოდ ხელისუფლების (პარლამენტი, პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი), არამედ საზოგადოების მხრიდანაც (ინფორმაციის თავისუფლების ანგარიშების სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნებით).

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ IDFI-ის და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საჯარო დაწესებულებების ანგარიშებში წლიდან წლამდე ძირითადად მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობრივი მონაცემები იცვლება და არ ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება. ანგარიშებში ასახული მონაცემები უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია, არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნებს და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად ასახავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ რეალურ ვითარებას.

ამავე დროს, ამ ანგარიშების წარდგენა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არც საკანონმდებლო ორგანო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ ახდენს ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემების განზოგადებას, შესწავლას, მონიტორინგს თუ ზედამხედველობას.

IDFI-ის რეკომენდაცია: IDFI-ის წინადადებაა, საპარლამენტო ზედამხედველობის ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ანგარიშების მონიტორინგს. შესაბამისი პლატფორმა, სადაც დაწესებულებები ელექტრონულად შეიყვანენ მონაცემებს 10 დეკემბრის ანგარიშების მოთხოვნების შესაბამისად, საშუალებას მისცემს პარლამენტს, გაამარტივოს მათი დამუშავება და განზოგადება, აწარმოოს და გამოაქვეყნოს შესაბამისი სტატისტიკა და მოამზადოს ანგარიში.

ამავე დროს, მოქალაქეებს და დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება, აღმოაჩინონ დარღვევები ან შეუსაბამობები ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარდგენილ ანგარიშებში და მიმართონ პარლამენტს მონაცემების დაზუსტების, კორექტირების ან ინფორმაციის განზრახ გაყალბების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნით. პლატფორმა ასევე მნიშვნელოვან პრევენციულ მექანიზმად ჩამოყალიბდება საჯარო ინფორმაციის ანგარიშების ეფექტიანობის გაზრდის და საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელების კუთხით.

4. **პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა**

არსებული მდგომარეობა: პეტიცია არის პირთა ჯგუფის წერილობითი მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ ან საერთო პრობლემებიდან გამომდინარე საკითხებს. წარდგენის შემდეგ, პეტიცია აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში. იგი შესასწავლად და განსახილველად გადაეცემა შესაბამის კომიტეტს ან დროებით კომისიას, რომელიც იღებს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს: 1. განიხილავს პეტიციას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე; 2. უგზავნის პეტიციას შესაბამის სამინისტროს, უწყებას; 3. მიზანშეუწონლად მიიჩნევს პეტიციის განხილვას.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პეტიციის განხილვისთვის შესაბამისი კომიტეტი ან დროებითი კომისია პარლამენტის ბიუროს წარუდგენს დასკვნას. **პეტიციის სამინისტროსთვის ან სხვა უწყებისთვის გაგზავნის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი 1 თვის განმავლობაში პეტიციასთან დაკავშირებით პასუხს მის ავტორს და შესაბამის კომიტეტს ან დროებით კომისიას აცნობებს.** პეტიციის განხილვის შემდეგ, პარლამენტი იღებს დადგენილებას, რეზოლუციას ან სხვა გადაწყვეტილებას.

ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემებით, 2012 წლის 20 დეკემბრიდან - 2016 წლის 12 ივლისამდე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე დარეგისტრირდა სულ 19 პეტიცია. ეს კი მიანიშნებს სამოქალაქო მონაწილეობის და საპარლამენტო ზედამხედველობის ამ მნიშვნელოვანი მექანიზმისადმი საზოგადოებრივი ნდობის ნაკლებობაზე და მოსახლეობის არაინფორმირებულობაზე.

IDFI-ის რეკომენდაცია: IDFI-ის წინადადებაა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით (მაგ. ახალი ზელანდია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი) პარლამენტის ვებგვერდზე შეიქმნას პეტიციების წარდგენის, მათზე თვალყურის მიდევნების და რეაგირების ელექტრონული მექანიზმი.